

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 21) შეტანილ იქნას შემდეგი დამატებები:

1. 38-ე მუხლის:

ა) „ა¹“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ა²“ და „ა³“ ქვეპუნქტები:

„ა²) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე;

ა³) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სარჩელზე;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ი¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ი¹) არბიტრაჟის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ;“;

2. 39-ე მუხლის პირველ ნაწილის:

ა) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ა¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ა¹) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სარჩელზე და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე – საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მხარისათვის მიკუთვნებული ნივთის (თანხის) ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარს, ხოლო, თუ, ნივთის ღირებულების დადგენა შეუძლებელია – 300 ლარს;“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ე¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე¹) არბიტრაჟის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე – საარბიტრაჟო დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარს, ხოლო, თუ, საარბიტრაჟო დავის საგნის ღირებულების დადგენა შეუძლებელია – 300 ლარს;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.